

LEXICAL ELEMENTS REFLECTING MORAL VALUES IN THE GEORGIAN TRANSLATION OF ORHAN PAMUK'S NOVEL "THE HOUSE OF SILENCE"

ორჰან ფამუქის რომანის „მდუმარე სახლი“ ქართულ თარგმანში:
„ზნეობრივი ფასეულების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები“

İlkiz Şenel Uzunkaya

PhD Student of Sukhumi State University,
Tbilisi, Anna Politkovskaya st. 61, Georgia,
ilkizsenel@ardahan.edu.tr,
<https://orcid.org/0000-0001-6831-9390>

Abstract. Following his novel titled “Cevdet Bey and His Sons”, Orhan Pamuk wrote his second novel titled “The House of Silence” in 1983. Translated into many languages, the French translation of the novel won Prix de la Découverte Européenne award in 1991. In “The House of Silence”, Orhan Pamuk narrates the story of a week in 1980 that three grandchildren, one of whom was depicted as a historian, another as a revolutionist, and the other as an individual aspiring to become rich, spend in the mansion of their grandmother in Cennethisar, which is located 50 km away from Istanbul.

Orhan Pamuk is the first author of the Turkish Literature to win the Nobel Prize. As a prolific writer, Orhan Pamuk is a famous author across the world. His novels, which have been translated into many languages, have also been translated into the Georgian language. Pamuk's works, which are known in Georgia and favored by Georgian readers, draws significant interest in Georgia. Pamuk's novels such as “Cevdet Bey and His Sons”, “Museum of Innocence”, “The House of Silence”, etc. have been translated into the Georgian language. “The House of Silence” has been translated into Georgian by Lia Claidize. In this study, it will be examined how the lexical elements that reflect moral values in the novel “The House of Silence” were translated from their original meaning in Turkish to Georgian. In the study, the sentences containing “lexical elements that express moral values” in Orhan Pamuk's novel “The House of Silence” will be presented in tables in both Turkish and Georgian languages. “Lexical elements that express moral values” will be examined under affirmative and negative headings.

The “lexical elements that express moral values” included in Orhan Pamuk's “The House of Silence” are word groups that come from the life itself and exist in all cultures. Examining these elements under two headings of affirmative and negative expressions shows that negative words as well as affirmative words support cultural richness. While these word groups found in different cultures point to linguistic wealth, these expressions meet with the readers through translation. The study aims to pioneer in the examination of “lexical elements that reflect moral values” and to reveal the lexical items that reflect these values.

Keywords: Orhan Pamuk, The House of Silence, Turkish, Georgian language, Morality.

ილქიზ შენელ უზუნკაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 61, საქართველო,
ilkizsenel@ardahan.edu.tr,
<https://orcid.org/0000-0001-6831-9390>

აბსტრაქტი. ორჰან ფამუქის რომანის „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ შემდეგ 1983 წელს გამოიცა მისი მეორე რომანი „მდუმარე სახლი“. მრავალ ენაზე თარგმნილმა

„მდუმარე სახლმა“ ფრანგულენოვანმა თარგმანმა 1991 წელს მოიპოვა ევროპის პრიზი „დე ლა დეკუვერტი“. რომანის თემაა სამი შვილიშვილის რომელთაგან ერთი იყო ისტორიკოსი, ერთი რევოლუციონერი და ერთსაც გამდიდრება ჰქონდა აჩემებული, ერთი კვირის ცხოვრების ამბავი, რომელიც მათ 1980 წლის ზაფხულში ბეზის სასახლეში, ჯენეთისარში, სტამბოლიდან ორმოცდაათ კილომეტრში გაატარეს.

ორჰან ფამუქი, როგორც თურქი მწერალი, არის პირველი ნობელის პრემიის ლაურეატი ავტორი. ფამუქი, რომელსაც მრავალი რომანი აქვს დაწერილი, მსოფლიოში ცნობილი მწერალია. ფამუქის რომანები ითარგმნა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, მისი ნაწარმოებები, როგორცაა „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“, „უმანკოების მუზეუმი“, „მდუმარე სახლი“ და ა.შ. ასევე ითარგმნა ქართულად და ქართველ მკითხველში მოწონება დაიმსახურა. ორჰან ფამუქის რომანი „მდუმარე სახლი“ ქართულად თარგმნა ლია ჩლაიძემ. წინამდებარე სტატიაში ყურადღება არის გამახვილებული ორჰან ფამუქის რომანის „მდუმარე სახლის“ ქართულ თარგმანში ზნეობის ამსახველი თურქული სიტყვების ქართულ შესატყვისებზე. აღნიშნულ რომანში „ზნეობრივი ფასეულობების ლექსიკური ერთეულების“ შემცველი წინადადებები თურქულ და ქართულ ენებზე ცხრილების სახით არის მოცემული. ლექსიკური ერთეულები დაჯგუფებულია დადებითი და უარყოფითი კონტექსტის მიხედვით.

ორჰან ფამუქის რომანში „მდუმარე სახლში“ დაცული ზნეობრივი ფასეულობების ლექსიკური ერთეულები ქმნიან სიტყვათა ჯგუფებს. ცხადია, რომ ისინი ცხოვრებისეულია და ყველა კულტურაში გვხვდება. მათი საშუალებით გამოიხატება დადებითი და უარყოფითი ფასეულებები. მიუხედავად ენობრივი განსხვავებისა, ისინი წარმოადგენენ ენობრივ სიმდიდრეს და მკითხველს თარგმანის საშუალებით მიეწოდებიან. წინამდებარე კვლევის მიზანია ზნეობრივი ფასეულობების გამოიხატველი ლექსიკური ერთეულების გამოვლენა და მათი შესაბამისობის დადგენა.

საკვანძო სიტყვები: ორჰან ფამუქი, მდუმარე სახლი, თურქული ენა, ქართული ენა, ზნეობა.

შესავალი. ორჰან ფამუქი დაიბადა 1952 წელს სტამბოლში ნიშანთაშის უბანში. ავტორის სრული სახელია ფერიტ ორჰან ფამუქი. დედას ერქვა შუქურე, ხოლო მამას - გიუნდუზი. ორჰან ფამუქი წარმოადგენს პირველ ნობელიანტ თურქ მწერალს. მან გაითქვა სახელი თურქულ და მსოფლიო სამწერლობო წრეებში. ასევე, ფამუქმა მრავალი ჯილდო დაიმსახურა თავის ორმოცდაერთწლიანი სამწერლობო კარიერის მანძილზე.

ფამუქის შემოქმედება, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ტენდენციების გამო მუდმივი ყურადღების ცენტრშია. იგი ფილოსოფიური განზომილებებით წარმოაჩენს აღმოსავლეთ-დასავლეთის დილემის კულტურულ არსს.

ის, რომ ორჰან ფამუქი მსოფლიოში აღიარებული მწერალია, უდავოდ არის მთარგმნელობითი კულტურის დამსახურება. მთარგმნელები, მკითხველთან ერთად ხელს უწყობენ ავტორის პოპულარობას და აღიარებას. იმის მიუხედავად, რომ მისი რომანები მოექცა მსოფლიო ყურადღების ქვეშ, ავტორის მიერ ნობელის პრემიის მიღებამ კიდევ უფრო გაამძაფრა ინტერესი მისი შემოქმედებისადმი.

ორჰან ფამუქის ნაწარმოებები ითარგმნა დაახლოებით 63 სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულად:

- “თოვლი”, თარგ. ნანა ჯანაშიამ, თბილისი, ბაკურ სულაკაური, 2011
- “ფარული სახე”, თარგ. თამარ ალფენიძემ, თბილისი, ელფი, 2008.
- “მე წითელი მქვია”, თარგ. ლია ჩლაიძემ, თბილისი, ბაკურ სულაკაური, 1998.
- “შავი წიგნი”, თარგ. ნანა ჯანაშიამ, თბილისი, ბაკურ სულაკაური, 2013
- “წითური ქალი”, თარგ. ნანა ჯანაშიამ, თბილისი, ბაკურ სულაკაური, 2017.

- “ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები”, თარგ. ნანა ჯანაშიამ, თბილისი, ბაკურ სულაკაური, 2009.
- “მდუმარე სახლი”, თარგ. ლია ჩლაიძემ, თბილისი, ბაკურ სულაკაური, 2011.
- “უმანკოების მუზეუმი”, თარგ. ეკატერინე ახვლედიანი, თბილისი, დიოგენე, 2011 (Acet & Meskhidze, 2020: 866).

მეთოდი. როგორც ცნობილია, არსებობს თარგმანის ორი სახე თავისუფალი და ლიტერალური ანუ სიტყვასიტყვითი.

თარგმანის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ დაცულ იქნას წანასწორობა დედნის თავისუფალ და სიტყვასიტყვით გადმოცემას შორის. ჩვენ მიერ გაანალიზებული ორჯან ფამუქის წიგნი “მდუმარე სახლის” თარგმანი (მთარგმნელი: ლია ჩლაიძე) ზემოაღნიშნული მტკიცების შესანიშნავი მაგალითია.

მთარგმნელი თურქული ენიდან თარგმნის დროს ოსტატურად ლავირებს და მიმართავს თარგმნის ზემოაღნიშნულ ორთავ ტექნიკას. ამის შედეგად, ჩვენი აზრით, ქართული თარგმანი მართებულად გადმოცემს ორიგინალის შინაარსს და ამასთანავე ნათარგმნის ქართული ენა, არ კარგავს თვითმყოფადობას და მისთვის აუცილებელ, დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

ჩვენი კვლევა დაფუძნებულია ინტერდისციპლინირებულობაზე. ისეთებზე, როგორცაა ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, ესთეტიკა, თარგმნის თეორია და კულტუროლოგია.

შედეგები. ჩვენს მიერ რომანში მოძიებული და შესწავლილი „ზნეობრივი ფასეულების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები” წარმოაჩენს ქართული ენის სიმდიდრეს. თარგმნისას თურქული ზნეობის გამომხატველი თურქული ლექსიკის შესატყვისი ქართული ლექსიკით გამოხატვა მიუთითებს, თუ რამდენად კარგად ფლობს მთარგმნელი თურქულ ენას და როგორ ერთგულად თარგმნის მას, ისე, რომ მშობლიური ენის ღირებულებებიც არ იკარგება.

მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს თურქოლოგიური და ქართველოლოგიური კვლევების განვითარებას. ორჯან ფამუქის ქართულად თარგმნილი რომანის ზნეობრივი ფასეულობების კუთხით კვლევა, წინამდებარე ნაშრომს სხვა განზომილებას მატებს, რაც, ორჯან ფამუქის სხვა ნაწარმოებების მომავალი კვლევის თვალსაზრისითაც საყურადღებოა. როგორც თურქული ტექსტიდან, ასევე ქართული თარგმანიდან მაგალითების მოყვანა ცხადყოფს, რომ სამიზნე აუდიტორია არის არა მხოლოდ ქართველი, არამედ თურქი მკითხველიც. სავარაუდოდ, ასეთი მიდგომა მომავალში გაზრდის კვლევის ხელმისაწვდომობას.

დისკუსია. საქართველოში დიდი ინტერესია ორჯან ფამუქის ქართულად თარგმნილი რომანების მიმართ. ასევე, გამომცემლებისთვისაც მნიშვნელოვანია ომარ ფამუქის პოპულარობა ქართველ მკითხველში. გამომცემელი ბაკურ სულაკაური აღნიშნავს, რომ 2006 წელს მიღებულმა ნობელის პრემიამ გავლენა მოახდინა ორჯან ფამუქის, როგორც რომანისტის საქართველოში პოპულარიზაციაზე, რამაც ის კარგ და მკითხველისთვის საინტერესო მწერლად წარმოაჩინა. გამომცემელი თამარ ლებანიძე დადებითად ეხმაურება ქართველი მკითხველის მხრიდან დანახულ ორჯან ფამუქის გმირებს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ის ასევე ეხმარება მკითხველს მისი დღევანდელი კულტურის გააზრებაში. ლია ჩლაიძე, თავის მხრივ, ორჯან ფამუქს დიდ მწერლად მიიჩნევს. აღნიშნავს, რომ ფამუქის პოპულარობაზე ნობელის პრემიის დიდი ზეგავლენის მიუხედავად, მისი მხატვრული ენა რომანში „წითელ წიგნი“, გამორჩეულია. ნანა ჯანაშიამ, რომელმაც ფამუქის რამდენიმე ნაწარმოები თარგმნა ქართულ ენაზე, საუბრობს

ფამუქისადმი ქართველი მკითხველის ინტერესის მნიშვნელობაზე, ხოლო ქეთევან ტომარამე მიუთითებს, რომ ფამუქმა ქართველი მკითხველი დააფიქრა (ტაველიძე, 2013).

რომანმა "მდუმარე ევა", რომელიც საფრანგეთში დიდი ინტერესით მიიღეს, ავტორს "ევროპული აღმოჩენის ჯილდო" მოუტანა, აღნიშნული რომანის მთავარი თემა გახლავთ სამი უბედური ძმის ერთი კვირის ისტორია. რომელიც მათ გაატარეს სტამბოლის ახლოს, ზღვისპირა დასახლება ჯენენტჰისარში, ბეზის სახლში. რომანში აღწერილია სამი ძმის ქვეცნობიერი. სამივე ძმას განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ. ერთი ისტორიკოსობას, მეორე რევოლუციონერობას აპირებს. ხოლო მესამე გამდიდრების ფიქრით არის შეპყრობილი. საცხოვრებელი სახლი კი ეკუთვნის მათ პაპას, ექიმ სელაჰატინს, რომელმაც იგი გადასახლების პერიოდში ააგო. რომანში ნაჩვენებია, რომ შვილიშვილების პაპა წერდა ენციკლოპედიას, რის საფუძველზეც ეგონა, რომ შეძლებდა ეჩვენებინა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის უფსკრულის ამოვსების გზები. თუმცა, რომანშივე კარგად ჩანს ხუთივე გმირის განსხვავებული შეხედულებები (Yalçın, 2010: 850).

წინამდებარე კვლევა ეფუძნება ორჰან ფამუქის რომანის „მდუმარე სახლი“ 2012 წლის 34-ე გამოცემას. აღნიშნული რომანი თურქულ ენაზე პირველად გამოვიდა 1983 წელს. სტატიაში გამოყენებული რომანი შედგება 236 გვერდის, 32 თავისგან. ყველა მოქმედ პირს ეძღვნება რამდენიმე თავი, მაგალითად ჰასანს - 8, ბიუიუქჰანიმს 7, რეჯევს - 6, მეთინს - 5. ჩვენს კვლევაში ღია ჩლაიძის თარგმანის 2016 წლის გამოცემა არის გამოყენებული. სტატიაში გამოყენებული რომანი 314 გვერდისა და 32 თავისგან შედგება.

თარგმანი, რომელიც უზრუნველყოფს კულტურათაშორის კომუნიკაციას, იკვებება კულტურული ღირებულებებით. ზნეობა ყველა საზოგადოებაში სხვადასხვა ღირებულებებით ყალიბდება. ნაწარმოები, რომელიც საზოგადოებაში თარგმანის სახით არის შემოტანილი, ავლენს ენის სიმდიდრეს და მის კულტურულ ფასეულობებს. ადამიანებსა და ერებს შორის კულტურული კავშირების დამყარების გარდა, თარგმანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებების ერთმანეთთან დაახლოებაში.

მარტივი სიტყვებით რომ ვთქვათ, თარგმანი არის ინფორმაციის ინტერპრეტაცია ერთ ენიდან სხვა ენაზე. მსგავსი ინტერპრეტაცია ვითარდება ყველა საზოგადოებაში არსებული ენობრივი ცნობიერებით და ხელს უწყობს ენების ერთმანეთთან ურთიერთობას.

ზნეობა, განმარტებითი ლექსიკონში ასე არის ახსნილი¹ "იმ წესების, ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანების ურთიერთ-დამოკიდებულებასა და ყოფა-ქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში, მორალი, ეთიკა".

მიუხედავად იმისა, რომ იგი განისაზღვრება, როგორც წესების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია საზოგადოებასთან ადაპტაციისკენ, მორალი პრიორიტეტს ანიჭებს ქცევის სხვადასხვა ფორმებს ყველა საზოგადოებაში.

ორჰან ფამუქის რომანის „მდუმარე სახლი“ ქართულ თარგმანში ზნეობრივი ღირებულებების ამსახველი სიტყვები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში მიმდინარე მოვლენების შესაბამისად:

1. დადებითი ზნეობრივი ფასეულების თარგმანი (ტექსტის შედარებითი ანალიზი)

1.1. ზნეობა, მორალის ცნება; სემანტიკური ბუდეები ქართულში მორალი/ მორალური/ ზნეობა/ მორალისტობა ლექსიკური ერთეულები

თურქული წინადადება	ქართული თარგმანი
Dinle şimdi: Özgürlüğümüzün tadını çıkararak,	იმის ნაცვლად, რომ ჩვენი თავისუფლებით

¹ <http://www.ena.ge/explanatory-online> 25.03.2023.

<p>suçtan ve günahıtan ve utançtan arınarak yaşamak varken, niye her şeyi hastalıklı tiryakiler gibi sarıldığın o saçma inançların ve ahlakın zehiriyle berbat ediyorsun? (SE²,s³.224)</p>	<p>დავტკბეთ, დანაშაულის, ცოდვის, სირცხვილის განცდისგან დავიხსნათ თავი, ყველაფერს ანადგურებ სულელური, ავადმყოფური რწმენების, მორალის შხამით, რომელზეც უკვე დამოკიდებული გახდი. (მს⁴, გვ⁵.205)</p>
<p>Eğer öz gürlüğü değil, mutsuzluğu istiyorsan, bu, en sonunda senin bileceğin bir şeydir: Ama senin yüzünden başkalarının mutsuz olması doğru mu; senin saçma ahlak inançların yüzünden başkalarının acı çekmesi yerinde mi? (SE,s.224)</p>	<p>თუ გინდა უბედური იყო, ბოლოს და ბოლოს, შენი ნებაა, მაგრამ როცა შენი მიზეზით სხვები უბედურდებიან, სწორია? შენი სულელური მორალური პრინციპების გამო რომ იტანჯებიან, მოგწონს? იცი, რას გეტყვი? ახლა იმ ქოხიდან მოვდივარ. რა დასამალია? (მს, გვ.205)</p>
<p>Ama biliyorum bu çaba neden: Nedensellik zincirini koparayım, zorunluğun ahlak dürtüsünden kurtulayım diye. (SE,s.234)</p>	<p>იმისათვის, რომ მიზეზთა ჯაჭვი გაწყვიტო და თავი დავიხსნა ზნეობის, მამოძრავებელი ძალადობისაგან. (მს, გვ.215)</p>
<p>Sorumluluk duymaya düşkün heriflere şaşıyordum, durup durup beni suçüstü yakalamak isteyen bilincimden hiç hoşlanmıyordum, ahlakçılık sinirimi bozuyordu: (SE,s.291)</p>	<p>მაოცებენ საკუთარი პასუხისმგებლობით გამართული ადამიანები. მეჯავრება ჩემი ცნობიერება – სულ ჩასაფრებულა, იქნებ დანაშაულზე წავასწრო. მორალისტობაც მალიზიანებს, როგორც ფეხბურთის მატჩის დროს კარის უკან მდგარი ფოტოგრაფები. (მს, გვ.272)</p>

1.2. მეგობრობა ლექსიკური ერთეულები
მეგობარი/მეგობრობა/ ამხანაგი/

<p>Kim miyim? Eski bir dost! Çat! (SE,s.210)</p>	<p>ვინა ვარ? – ძველი მეგობარი. (მს, გვ.192)</p>
<p>Televizyonun sesini ve uğultuyu bastırmak için bağrışarak: Arkadaşlık. Belki birlikte sinemaya bile gideriz. (SE,s.8)</p>	<p>ტელევიზორის ხმა რომ გადავფაროთ, ყვირილით ვილაპარაკებთ. იქნებ, კინოშიაც ერთად წავიდეთ. მეგობრობაც ეს არის. (მს, გვ.6)</p>
<p>"Birlikte ders çalışa çağımız bir arkadaşım var, bekliyorum," dedim. (SE,s.12)</p>	<p>– ამხანაგს ველოდები, ერთად უნდა ვიმეცადინოთ. (მს, გვ.194)</p>

1.3. ლამაზი ლექსიკური ერთეულები
ლამაზი/ სასიამოვნო/ სილამაზე

<p>Madem o kadar akıllı ve zekisin, o güzel, aklı başında karımı niye kaçırdın? (SE,s.131)</p>	<p>თუ ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი ხარ, ის</p>
---	--

² “Sessiz Ev” თურქული რომანის სახელწოდების აბრევიატურა
³ თურქული რომანის გვერდების რაოდენობა
⁴ “მდუმარე სახლი” ქართულ ენაზე, რომანის სახელწოდების აბრევიატურა
⁵ ქართულ ენაზე თარგმნილი გვერდების რაოდენობა

	ლამაზი ცოლი რატომ გაგეცა? (მს, გვ.120)
Kışları buhar çıkarken seyretmesi hoş olur. (SE,s.117)	ზამთარში ძალიან სასიამოვნო საყურებელია ახლად მოწველილ რძეს ოხშივარი რომ ასდის. (მს, გვ.106)
Bacaklarının güzelliği yle beni kandırabileceğini sanıyorsan yanılıyorsun. (SE,s.212)	ცდები, თუ გგონია, შენი ფეხების სილამაზით მომხიბლავ. (მს, გვ.194)

1.4. თანაგრძნობა/ ლექსიკური ერთეულები

Yapacaklarımı düşündüm: Savaşları, zaferleri, yenilgi korkusunu ve umudu ve başarıyı ve şefkat göstereceğim zavallıları ve kurtaracağım başkalarını ve acımasız dünyada alacağımız yolu. (SE,s.110)	გასაკეთებელიც წარმოვიდგინე: ომები, გამარჯვებები, დამარცხების შიში და წარმატების იმედი, უბედურები, რომელთაც თანაგრძნობით მოვეკიდები, გადარჩენილები, ამ სასტიკ სამყაროში ჩვენი გასავლელი გზა... (მს, გვ.100-101)
--	---

1.5. თავმდაბლობა ლექსიკური ერთეულები მოკრძალებული/ თავმდაბლობა/ თავმდაბალი/

Arşivci olmak için, tarihçi olmak için gerekenden de fazla alçakgönüllülük gerekir. Günümüzde, biraz mürekkep yalayıp da, bu kadar alçakgönüllülüğe kat lanabilecek insan artık pek çıkmıyor (SE,s.82)	არქივს რომ მიხედო, ისტორიკოსზე მოკრძალებული უნდა იყო. ახლა ჩვენში ბევრი აღარ შეგხვდებათ, ვისაც ცოტა მელანი გაელოკოს და მაინც შერჩენოდეს თავმდაბლობა . (მს, გვ.75)
Kocasının peşinde: Ama gülerdi de, güneş gibi, ama alçakgönüllü . İyi, evet: İnsan ondan çekinmez. (SE,s.278)	სულ ქმარს დასდევდა, მაგრამ მზესავით იცინოდა კიდევ. თავმდაბალი იყო, მოკრძალებული . ადამიანი მასთან თავისუფლად გრძნობდა თავს. (მს, გვ.260)

1.6. შრომისმოყვარეობა ლექსიკური ერთეულები მუყაითი/ შრომისმოყვარე/ გამრჯე/ შრომისმოყვარეობა ლექსიკური ერთეულები

Çalışkan o kadın, dürüst, namuslu, açık sözlü ve güzel! Senin gibi yalnızca suçtan ve cezadan korkarak yaşamıyor, çünkü senin gibi çatal bıçak tutmayı ve kibarlık taslamayı öğrenmemiş! (SE,s.223)	მუყაითია ის ქალი, მართალი, პატიოსანი, გულღია და ლამაზი! შენსავით მხოლოდ სასჯელის შიშით როდი ცხოვრობს. მისთვის არც დანა-ჩანგლის ხმარება უსწავლებიათ და არც კეთილშობილი, დახვეწილი ქალის როლის თამაში. (მს, გვ. 205)
Sonra babam bir kere daha söyledi ve ekledi: Parlak bir geleceği varmış Fatma, sordum soruşturdum, çalışkan ve belki biraz hırslı ama, namuslu ve zeki bir adammış, iyi düşün. (SE,s.20)	მამაჩემმა ერთხელ კიდევ მითხრა: ფატმა, გავიკითხე, ბრწყინვალე მომავალი ჰქონია. შრომისმოყვარეა . შეიძლება ცოტა ძუნწი, მაგრამ პატიოსანი და ნიჭიერი კაციაო. (მს, გვ. 17)
Çalışkandır .Ama oraya sığmıyor. Bir kulübe yaptım. (SE,s.102)	ძალიან გამრჯე ქალია, იმ ოთახში ვიწროდ იყო და ბაღში ერთი ქოხი ავუშენე. (მს, გვ. 93)

Çok takdir ediyorum: Halkımın çalışkanlığı ve güzelliği var bu kadında. (SE,s.102)	დიდად ვაფასებ. ამ ქალში ჩემი ხალხის სილამაზე და შრომისმოყვარეობა თავმოყრილი. (მს, გვ. 93)
---	--

1.7. სიკეთე ლექსიკური ერთეულები

"Cevap versenize bana! İyiliğiniz için sizin! (SE,s.304)	„ხმა გამეცით, დიდედა, თქვენივე სიკეთისათვის . (მს, გვ. 285)
---	--

1.8. პატიოსნება ლექსიკური ერთეულები მართალი/ პატიოსანი

Çalışkan o kadın, dürüst , namuslu, açık sözlü ve güzel! Senin gibi yalnızca suçtan ve cezadan korkarak yaşamıyor, çünkü senin gibi çatal bıçak tutmayı ve kibarlık taslamayı öğrenmemiş! (SE,s.223)	მუყაითია ის ქალი, მართალი, პატიოსანი , გულღია და ლამაზი! შენსავით მხოლოდ სასჯელის შიშით როდი ცხოვრობს. მისთვის არც დანა-ჩანგლის ხმარება უსწავლებიათ და არც კეთილშობილი, დახვეწილი ქალის როლის თამაში. (მს, გვ. 205)
---	--

1.9. მადლიერების ლექსიკური ერთეულები მადლობა / მადლობელი/ გმადლობ/

" Teşekkür ederim ," dedi. "Daha o ağaç döküntülerini yi yecek kadar olmadım şükür. Çöz şunu. (SE,s.6)	– მადლობა მომიხსენებია. ჯერ იქამდე არ მივსულვარ, ძირნაყარი ხილი ვჭამო. ეს მომხსენი! (მს, გვ. 4)
" Teşekkür etmiyor musun?" dedi. " Teşekkür ederim ." (SE,s.257)	– მადლობა არ უნდა მითხრა? – მადლობელი ვარ. (მს, გვ. 240)
" Teşekkür ederim . Metinler'e, Nilgün'e filan selâm söyle. (SE,s.153)	– გმადლობ . მეთინი, ნილგუნი და სხვები მომიკითხე. (მს, გვ. 140)

1.10. პატიება/ მიტევება/ ლექსიკური ერთეულები

" Affet ağbi! " dedi Serdar. "Ciddiye alma, çoktan pişman o." (SE,s.186)	– აპატიე , აბი, სერიოზულად ნუ მიიღებ, რა ხანია, ნანობს. (მს, გვ. 171)
Dinle: Dinle: Cennet yok, Cehennem yok, Allah yok, seni gözleyen ve kollayan ve cezalandıran ve bağışlayan hiç kimse yok: (SE,s.298)	მისმინე: არ არსებობს სამოთხე, არც ჯოჯოხეთი არსებობს, არავინ არის, ვინც თვალს გადევნებს, ვინც დაგსჯის, ანდა მოგიტევებს . (მს, გვ. 280)

1.11. ღონიერი/ ძლიერი ლექსიკური ერთეულები

"Aferin! Kuvvetliymişsin , ama benden kuvvetli değilsin!" (SE,s.251)	– ყოჩაღ, ღონიერი ყოფილხარ, მაგრამ მე ვერ მაჯობებ. (მს, გვ. 234)
Komünist sandılar seni, güzelim, gel kaçalım seninle, gel gidelim, her yerde onlar, ne kadar da güçlüler , ama gene de dünyada birlikte yaşaya	კომუნისტი ჰგონიხარ, ჩემო ლამაზო, მოდი, გავიქცეთ, წავიდეთ, მართალია, ისინი ყველგან

bileceğimiz bir yer vardır, inanıyorum, inanıyorum vardır bir yer (SE,s.263)	არიან, თანაც როგორი ძლიერები , მაგრამ მჯერა, ქვეყანაზე იქნება ადგილი, სადაც ერთად ცხოვრებას შევძლებთ. (მს, გვ. 246)
--	--

1.12. უპირატესობა ლექსიკური ერთეულები

Fakat bunu da kendilerine benzetmeseler. Darwin'in kuramını Kuran'la karşılaştır ve ahmakların bile anlayacağı basit mesellerle bilimin üstünlüğünü anlat... (SE,s.218)	ძალიან კარგი, მაგრამ, ნეტავ, ესენიც თავად არ დაიმსგავსონ... შეადარე ყურანს დარვინის თეორია ყველა სულელისათვის გასაგები მარტივი მაგალითებით და იოლად დაამტკიცებ მეცნიერების უპირატესობას . (მს, გვ. 199-200)
--	--

1.13. სიდარბაისლე/ დარბაისელი ლექსიკური ერთეულები

Onun aklındaki Budak'la, benim aklımdaki bambaşkaydı: O kitapta lise tarih kitaplarına resmi konacak, saygıdeğer, oturaklı bir Osmanlı vardı. (SE,s.123)	გამახსენდა, გებზეც ცნობილ ადამიანებზე დაწერილ ლიცეუმის მასწავლებლის წიგნში ბუდაქსა და მის მეჩეთს ორიოდ გვერდი ეთმობა. ისტორიის მასწავლებლის თვალთ დანახული ბუდაქი პატივცემული, დარბაისელი ოსმალთ იყო. (მს, გვ. 113)
Ama meslektaşlarım kravatlı ağırbaşlıklarını zedelememek için bu eğlencenin üstünü örter kendilerini çocuklarından ayırmak isterler (SE,s.124)	ეს არის მისი მთავარი ღირსება, მაგრამ ჰალსტუხით დამშვენებული ჩემი კოლეგები თავიანთი სიდარბაისლის გადასარჩენად ამას მალავენ. (მს, გვ. 114)

1.14. თავდაჯერებულობა/ გულდაჯერებული/ ლექსიკური ერთეულები

Yukarı çıktım, içinde, yaz sıcakında bir ay çalışarak kazandığım ondört bin lira olduğu için bana bir üstünlük ve güven duygusu veren cüzdanımı, anahtarımı aldım, çok sevdiğim Amerikan mokasenlerime son bir cila vurduğum ve eniştemin Londra'dan getirip hediye ederken nasıl satın aldığımı uzun uzun anlattığı yeşil kazağı omuzuma atıp aşağı indim. (SE,s.130)	ზემოთ ავედი. ავიღე საფულე, რომელშიც ზაფხულის პაპანაქებაში მთელი თვის მუშაობით ნაშრომი თოთხმეტი ათასი ლირა მედო. ეს ფული თავდაჯერებულობას მმატებდა, მამაყებდა. გასაღებიც ავიღე, ერთხელ კიდევ გავიპოვებდი ამერიკული მოკასინები, მხარზე გადავიგდე ამერიკიდან ჩამოტანილი მწვანე მაისური (დეიდაჩემის ქმარმა ჩამომიტანა და გაუთავებლად ჰყვებოდა, სად და როგორ იყიდა) და ძირს ჩავედი. (მს, გვ. 119)
"Niye etmiyormuşsun bakalım?" dedi tuhaf bir güvenle . (SE,s.283)	– რატომ? – უცნაურად გულდაჯერებულმა იკითხა. (მს, გვ. 265)

1.15. კეთილშობილი/ თავაზიანი/ ზრდილი/ ლექსიკური ერთეულები

Öyle mi, dersin sen, kibar biri mi, öyleyse salona alın onu Recep Efendi, ben şimdi geliyorum. (SE,s.269)	მართლა? – იკითხავთ – თუ კეთილშობილი ბატონია, სასტუმრო ოთახში შეიყვანე, რეჯეფ. (მს, გვ. 251)
Serdar kibarca sordu: "Kaç tane istiyorsunuz beyefendi?" (SE,s.254)	სერდარმა თავაზიანად იკითხა: – რამდენს ინებებთ, ბეიფენდი? (მს, გვ. 236)
Düşünerek kapıdan girdim ve merdivenli büyük kapıya değil, kimseyi rahatsız etmekten hoşlanmayan bir kibar beyefendi olduğum için mutfak kapısına yürüdüm. (SE,s.269-270)	ამ ფიქრით შევედი ჭიშკარში. მთავარი კარისაკენ კი არ წავედი – მე ხომ ზრდილი ბატონი ვარ და არ მიყვარს ვინმეს შეწუხება – სამზარეულოს კარს მივაშურე. (მს, გვ. 251)

1.16. ბედნიერება/ ნეტარება ლექსიკური ერთეულები

Ben de sahteyim, ne mutlu , hepimiz sahteyiz! (SE,s.134)	არ არის ნამდვილი! მორჩა და გათავდა. არც მე ვარ ნამდვილი, მეც ყალბი ვარ და ყველანი ყალბები ვართ. არც ერთი ნამდვილი! რა ბედნიერებაა! (მს, გვ. 123)
Tuhaf bir mutluluk duydum: (SE,s.292)	საოცარი ნეტარება დამეუფლა. (მს, გვ. 274)

1.17. ჭეშმარიტება/ ლექსიკური ერთეულები

Doğrular bir kere bulunur: Gök Fransa'da da mavidir, incir ağaçları New York'ta da ağustosta meyve verir ve tavuk yumurtasından bizim kümeste civciv çıktığı gibi yemin ederim Fatma, bugün Çin'de de çıkmaktadır ve su buharı Londra'da makineleri döndürüyorsa, burada da döndürür ve Allah Paris'te yoksa, burada da yoktur ve insan her yerde bir ve eşittir ve cumhuriyet her zaman en iyisi ve bilim her şeyin başıdır. (SE,s.146)	ჭეშმარიტება ერთია! ცა საფრანგეთშიც ლურჯია, ლელვი ნიუ-იორკშიც აგვისტოში მწიფს. გეფიცები, ფატმა, დღეს ჩინეთში ისეთივე წიწილა იჩეკება, როგორც – ჩვენს საქათმეში. თუ ლონდონში წყლის ორთქლი მანქანებს ამოძრავებს, ის აქაც იმავეს გააკეთებს. თუ ალაჰი არ არსებობს პარიზში, არც აქ არ იარსებებს. ადამიანი ყველგან ერთნაირია. რესპუბლიკა ყველგან უკეთესია, მეცნიერება კი ყველგან თავი და თავია. (მს, გვ. 133-134)
---	--

1.18. პასუხისმგებლობა/ მოვალეობა ლექსიკური ერთეულები

Sorumluluk duymaya düşün he riflere şaşıyordum, durup durup beni suçüstü yakalamak isteyen bilincimden hiç hoşlanmıyordum, ahlakçılık sinirimi bozuyordu: (SE,s.291)	მაოცებენ საკუთარი პასუხისმგებლობით გამართული ადამიანები. მეჯავრება ჩემი ცნობიერება – სულ ჩასაფრებულა, იქნებ დანაშაულზე წავასწრო. მორალისტობაც მაღიზიანებს, როგორც ფეხბურთის მატჩის დროს კარის უკან მდგარი ფოტოგრაფები. (მს, გვ. 272)
Memleket haberlerini bitirdikten sonra, karısı, çocukları ve sorumlulukları olan	ქვეყნის შიდაამბები მოვათავე და საგარეოზე გადავედი. ცოლ-შვილის

<p>önemli adamların dikkatiyle dış haberleri de okudum; Brejnev ve Carter Türkiye'yi bölüşmek üzere gizlice anlaşmışlarsa, her şeyi yapabilirler diye düşündüm. (SE,s.325)</p>	<p>პატრონი, მოვალეობებით დახუნძლული კაცის სერიოზულობით წავიკითხე: თუ ბრეჟნევი და კარტერი თურქეთის გაყოფაზე შეთანხმდებიან, კიდევაც გაიტანენ თავისას. (მს, გვ. 305)</p>
--	--

1.19. პატივისცემა/ პატივცემული/ მოწიწება/ პატივი/ პატივსაცემი ლექსიკური ერთეულები

<p>Sonra bu karnındaki çocuğa mutlaka iyi bir eğitim vermeliyiz, onu bir kere olsun ağlatmayacağım, korku denen şeyi, o Doğu'lu hüznü, ağlayışları, kötümserliği, yenilgiyi ve korkunç Şark boyun eğişini bu çocuğa asla öğretmeyeceğim; onun eğitimiyle birlikte uğraşacağız, onu özgür bir insan olarak yetiştireceğiz, bu ne demek anlıyorsun, değil mi, aferin, zaten seninle iftihar ediyorum Fatma, sana saygı duyuyorum, seni de özgür bağımsız bir insan olarak görüyorum; ötekilerin karılarını gördükleri gibi bir cariye, bir odalık, bir köle gibi görmüyorum seni: Benim eşitimsin canım, anlıyor musun? (SE,s.97)</p>	<p>ამ ბავშვს უეჭველად დიდ განათლებას მივცემთ, ერთხელაც არ ავატირებთ. არ ეცოდინება, რა არის შიში და სევდა, წირპლიანი წუწუნი, უიმედობა და აღმოსავლური ქედმოდრეკილობა. მე და შენ ერთად ვიზრუნებთ და თავისუფალ ადამიანად აღვზრდით, გესმის, ეს რას ნიშნავს? ყოჩაღ! უკვე მემამყები, ფატმა! შენ მიმართ პატივისცემა გამიჩნდა, შენშიც თავისუფალ, დამოუკიდებელ ადამიანს ვხედავ. ცოლს მხევალივით, ხარჭასავით როდი ვუყურებ. ჩემი მეუღლე ხარ, ჩემი უღლის გამწევი. გესმის, საყვარელო? დიახ, ცხოვრება სიზმარით ლამაზია, მაგრამ ის სიზმარი სხვამაც ხომ უნდა ნახოს? ამას კი დიდი შრომა სჭირდება. (მს, გვ. 88-89)</p>
<p>Onun aklındaki Budak'la, benim aklımdaki bambaşkyadı: O kitapta lise tarih kitaplarına resmi konacak, saygıdeğer, oturaklı bir Osmanlı vardı. (SE,s.123)</p>	<p>გამახსენდა, გებზეს ცნობილ ადამიანებზე დაწერილ ლიცეუმის მასწავლებლის წიგნში ბუდაქსა და მის მეჩეთს ორიოდ გვერდი ეთმობა. ისტორიის მასწავლებლის თვალთ დანახული ბუდაქი პატივცემული, დარბაისელი ოსმალ ოყო. (მს, გვ. 113)</p>
<p>Onlar da, disiplinin sonsuz itaat olduğunu öğrendiklerini göstermek için saygılı selâm verip gittiler. (SE,s.179)</p>	<p>ისინი დიდი მოწიწებით გამოემშვიდობნენ – დაგვინახეთ, როგორ ვისწავლეთ დისციპლინის მორჩილებაო – და წავიდნენ. (მს, გვ. 165)</p>
<p>Hayır, ben kadınlara karşı saygılı olmamız gerektiğini bilirim, değil elinden gazeteyi alıp yırtmak! Kadın zavallı bir yaratıktır, onlara kötü davranmamalı, annem ne iyi insandır! (SE,s.210)</p>	<p>არა, ვიცი, ქალებს პატივი უნდა სცე, ხელიდან გაზეთი არ უნდა გამოჰგლიჯო და არ უნდა დაუხიო. ქალი სუსტი არსებაა, უხეშად არ უნდა მოექცე. აი, დედაჩემი ხომ კარგი ადამიანია? (მს, გვ. 192)</p>
<p>Bir nesne kadına yönelir gibi değiller artık, gevşemişler, saygıdeğer bir kadın karşısında küçütlür gibi kendilerini unutmuşlar. (SE,s.292)</p>	<p>აღარ უყურებენ მოცეკვავეს, როგორც მამაკაცის საკუთრებას, მის ნივთს. პატივსაცემი ქალის წინაშე მოკრძალებას გრძნობენ, აღარ ახსოვთ, ვინ არიან თავად. (მს, გვ. 274)</p>

1.20. შერცხვა/ დარცხვნილი/ სირცხვილი/ მორცხვი/ ლექსიკური ერთეულები

Ağır ağır yaklaşırken anladım içinde onlar olduğunu, ama sanki utandım da durup el edeceğime yan döndüm. (SE,s.36)	მძიმე-მძიმედ მიახლოვდებოდა. მივხვდი, შიგ ისინი ისხდნენ. შემრცხვა . (მს, გვ. 33)
"Ben hâlâ seçemedim..." dedi ve sanki birden utandı ve dolabına bakmaya başladı. (SE,s.61)	– მე ჯერ კიდევ ვერ შევარჩიე, – თქვა და თითქოს დარცხვნილმა კარადაში შეიხედა (მს, გვ. 56)
Dinle şimdi: Özgürlüğümüzün tadını çıkararak, suçtan ve günahıtan ve utançtan arınarak yaşamak varken, niye her şeyi hastalıklı tiryakiler gibi sarıldığın o saçma inançların ve ahlakın zehiriyle berbat ediyorsun? (SE,s.224)	იმის ნაცვლად, რომ ჩვენი თავისუფლებით დავტკბეთ, დანაშაულის, ცოდვის, სირცხვილის განცდისგან დავიხსნათ თავი, ყველაფერს ანადგურებ სულელური, ავადმყოფური რწმენების, მორალის შხამით, რომელზეც უკვე დამოკიდებული გახდი. (მს, გვ. 205)
"Çok utangaç bu arkadaş galiba," dedi Serdar. "Susuyor..." (SE,s.253)	– ეს ამხანაგი ძალიან მორცხვი ჩანს, კრინტს არა მრავს, – თქვა სერდარმა. (მს, გვ. 236)

2. უარყოფითი ზნეობრივი ფასეულების თარგმანი (ტექსტის შედარებითი ანალიზი)

2.1. თვალთმაქცობა/ ორპირობისა/ ორსახოვანი ლექსიკური ერთეულები

თურქული წინადადება	ქართული თარგმანი
Şöyle düşündüm; Aşk ikiyüzlülüğe sürüklüyor insanı, oysa âşık olduğuma inandığım için, ben, bu sürekli ikiyüzlülük duygusundan kurtulacağımı sanmıştım. (SE,s.132)	ვიფიქრე, სიყვარული თვალთმაქცობისაკენ უბიძგებს-მეთქი. შეყვარებული კი ვიყავი, მაგრამ მჯეროდა, თავიდან ავიცილებდი მსგავს შეგრძნებას. (მს, გვ.121)
Hayatın sürekli bir ikiyüzlülükten başka bir şey olmadığını söylemek ister gibidir bu cadde: Sanki her şeyin üzerinde sahte olduğu açıkça yazar! (SE,s.134)	ძალიან მიყვარს ეს პროსპექტი, იგი თავის წამდვილ სახეს არ მალავს, ამზეურებს საზიზღარ ყალბისმქმნელობას, თითქოს გეუბნებათ: ცხოვრება სხვა არაფერია, გარდა ორპირობისა და სიყალბისა. თითქოს ყველაფერს აწერია ხელოვნური, ყალბი რომ არის. (მს, გვ.122)
Bende sahte, ikiyüzlü birşeyler varmış da gizliyormuşum gibi. Şöyle düşündüm. (SE,s.284)	ასე მგონია, ჩემში ორსახოვან , ყალბ არსებას ვმალავ. (მს, გვ.266)

2.2. უსამართლო/ მტყუანი ლექსიკური ერთეულები

Bütün gece yapacakları budur işte: Biri öbürüne her şeyi gülünç bulması için çanak tutacak ve biraz sonra da öbürü ona başka bir şeyi gülünç bulması için yardımcı olacak ve böylece lâmbanın soluk ışığı altında saatlerce oturup bütün dünyanın kendilerinden haksız , ahmak ve saçma olduğuna	ყოველ საღამოს ასეა. ჯერ ერთი იტყვის რამე სასაცილოს, გულს მოიჯერებენ, მერე მეორეს გაახსენდება რამე და ისევ ატეხავენ სიცილს. ლამპის მკრთალ შუქზე საათობით სხედან. მთელ სამყაროს განიკითხავენ. თურმე
---	---

<p>karar vererek kendi saçmalıklarını unutacaklar ve bu sırada Faruk da bir küçük şişe rakıyı bitirmiş olur ve Nilgün hâlâ yatmamışsa belki Faruk ona kaçırdığı karısını da anlatır ve herhalde bu gecenin sonunda geri döndüğümde ben gene Faruk'u masa başında sızmış bulurum ve böyle bir herif de çürük arabasını bana her verişinde beni iğneleme hakkını kendisinde nasıl buluyor diye şaşarım. (SE,s.131)</p>	<p>ყველა უსამართლო და სულელი ყოფილა. საკუთარი სისულელე დავიწყებიათ. ამასობაში ფარუქი ერთ ბოთლ არაყს დალევს და ნილგუნს – თუ ჯერ არ დაწოლილა – თავისი გაქცეული ცოლის ამბებს მოუყვება. გამთენიისას დავბრუნდები, ფარუქი ისევ მაგიდასთან იჯდება გაღეშილი და ისევ ვიფიქრებ: ეს კაცი თავს უფლებას აძლევს, მანქანის ყოველ თხოვებაზე გამკენწლოს-მეთქი. (მს, გვ.119-120)</p>
<p>Bak, kalabalıktan kimse yardımına koşmuyor, çünkü haksız olduğunu biliyorlar. (SE,s.273)</p>	<p>ხედავ? არავინ გამორბის შენ საშველად, რადგან ყველამ იცის, მტყუანი ხარ. (მს, გვ.255)</p>

2.3. უბირი/ უვიცი ლექსიკური ერთეულები

